სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 4 21 0001058787

08/10/2021

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის ვაკანტურ ადგილებზე არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-10 მუხლის, მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, „„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) არჩევნების ჩატარების შესახებ" დებულების (შემდეგში - არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულება) მე-2 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების, მე-12 და მე-13 მუხლების შესაბამისად, სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) სპიკერის, ბატონ ჯემალ გახოკიძის 2021 წლის 08 ოქტომბრის წერილის (1058924) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2021 წლის 29 ოქტომბერს დაინიშნოს არჩევნები წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრის შემდეგ ვაკანტურ ადგილებზე:

- ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი - 1 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - 1 აკადემიური პერსონალის ვაკანტური ადგილი და 2 სტუდენტის ვაკანტური ადგილი;
- საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი - 1 ვაკანტური ადგილი;

- კვების მრეწველობის ინსტიტუტი - 1 ვაკანტური ადგილი;
- ნაგებობების, სპეციალური სისტემების და საინჟინრო უზრუნველყოფის ინსტიტუტი -1 ვაკანტური ადგილი.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) წევრად ფაკულტეტიდან აირჩევა აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი, ხოლო სტუდენტების კვოტით აირჩევა ფაკულტეტის სტუდენტი, ხოლო დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევით ერთეულიდან წარმომადგენლობი თი საბჭოს (სენატის) წევრად აირჩევა ამ ერთეულის სამეცნიერო პერსონალის წევრი.

3. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის ყველა წევრი, ხოლო სტუდენტების წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ფაკულტეტის ყველა სტუდენტი, მათ შორის დოქტორანტი. ასისტენტი არჩევნებში მონაწილეობს როგორც სტუდენტი. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატში) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელს ირჩევს შესაბამისი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის ყველა წევრი. წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იყვნენ ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის წარმომადგენლები, აგრეთვე აკადემიური საბჭოს წევრები.

4. წარმომადგენლობით საბჭოს (სენატის) წევრი აირჩევა წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) უფლებამოსილების დარჩენილი ვადით.

5. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2021 წლის 15 ოქტომბერს და დასრულდეს 2021 წლის 22 ოქტომბერს.

6. კანდიდატებმა განცხადება უნდა შეიტანონ შესაბამისი ფაკულტეტის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის საარჩევნო კომისიაში. განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (პ/მოწმობის, პასპორტის) ასლი;

ბ) ცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ფაკულტეტზე დაკავებული აკადემიური თანამდებობის/სტუდენტის სტატუსის/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში დაკავებული სამეცნიერო თანამდებობის შესახებ.

7. შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოებმა და შესაბამისი დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულის სამეცნიერო საბჭოებმა 2021 წლის 15 ოქტომბრამდე უზრუნველყონ საარჩევნო კომისიების შექმნა და არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

8. უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ (კ.კოპალიანი) უმოკლეს ვადებში უზრუნველყოს საარჩევნო სიების წარდგენა შესაბამისი ფაკულტეტების და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების საარჩევნო კომისიებისათვის და არჩევნების ორგანიზებისა და ჩატარებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

9. არჩევნები ჩატარდეს არჩევნების ჩატარების საუნივერსიტეტო დებულების შესაბამისად.

10. არჩევნების შედეგები გამოქვეყნდეს არჩევნების დამთავრების შემდეგ თვალსაჩინო ადგილზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

11. ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე და ასევე განთავსდეს სტუ-ს შესაბამის ფაკულტეტებზე და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის შენობებში თვალსაჩინო ადგილზე.

12. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

13. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

რექტორი
გურგენიძე დავით